საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-518

23/04/2021

ქ. თბილისი

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სგ ოილზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 30 მარტს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ და შპს „სგ ოილის“ დირექტორებმა. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „სგ ოილზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთოპროდუქტების საცავზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №13; 22.02.2008; თბილისი, ქიზიყის ქ. №21). „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2018 წლის 20 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-478 ბრძანება „შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ ნავთობპროდუქტების საცავზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

2018 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „იბერკომპანის“. 2020 წლის 15 აპრილს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „იბერკომპანისგან“ გადაეცა შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“. 2020 წლის 29 ივნისს ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებისგან“ გადაეცა შპს „მანის“. 2021 წლის 16 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „მანისგან“ გადეცა შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „სგ ოილს“;
2. შპს „სგ ოილმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მანიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 16 თებერვლის №2-213 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სგ ოილს“ და შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სგ ოილის“ და შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი